რუსეთ-ისრაელის ურთიერთობების ისტორიიდან

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარხულია გურამ
ისტორიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2025.56.05

შესავალი. ბოლო წლებში ისრაელი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. წელიწადნახევრის განმავლობაში ქვეყანა რადიკალურ ორგანიზაციებს, ჰამასსა და ჰეზბოლას ებრძოდა, ირან-ისრაელის კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე კი კვლავ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა არ მიღწეულა და ისრაელის მიზნები სრულად არ განხორციელებულა, რუსეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობები ხასიათდება, როგორც რთული და მრავალმხრივი, რომელიც აერთიანებს თანამშრომლობისა და წინააღმდეგობების ელემენტებს. ისტორიულად, ქვეყნებს შორის ურთიერთობები 1948 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით დაიწყო, მაგრამ 1967 წელს შეწყდა და 1991 წელს სსრკ-ს დაშლის შემდეგ აღდგა. ამჟამად, ორი ქვეყანა აქტიურ პოლიტიკურ დიალოგს ინარჩუნებს, თუმცა არსებობს უთანხმოებებიც, კერძოდ, სირიაში არსებულ ვითარებასთან და ისრაელის პოზიციასთან უკრაინასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები- ისრაელი, რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთ-ისრაელის ურთიერთობებს თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ყოველთვის ჰქონდა. ამ ურთიერთობებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთში. აღსანიშნავია, რომ დღესაც, რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრების კონტექსში ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობები მეტად მნიშვნელოვანია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა, როგორც მისმა სამართალმემკვიდრემ ისრაელთან ურთიერთობები არა მხოლოდ შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო გაამყარა. დღეს რუსეთი და ისრაელი ურთიერთთანამშრომლობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობები; ქვეყნები აგრეთვე თანამშრომლობენ საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში. ეკონომიკურ ურთიერთობებში ისრაელი რუსეთის მთავარი პარტნიორია ახლო აღმოსავლეთში. ბუნებრივი აირის მიწოდების სფეროში რეალიზდება გაეროს პროექტი „გაზპრომი“. პოლიტიკური ურთიერთობების ჩარჩოებში შესამჩნევია

საპარლამენტთაშორისო ურთიერთობები, აგრეთვე მიმდინარეობს ერთობლივი ბრძოლა დამნაშავეობასთან და კორუფციასთან. სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობების განხრივ ხელსაყრელი შეიარაღების შესაქმნელად ერთობლივი რუსულ-ისრაელური საწარმოს შექმნა იგეგმება. საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას ქვეყნებს შორის ინერესების თანხვედრას აქვს ადგილი სტრატეგიული პარტნიორობის კუთხით. თუმცა, რუსეთ-ისრაელის ურთიერთობებში რიგი პრობლემებიც არსებობს: კერძოდ ისრაელის უკმაყოფილება ირანთან რუსეთის თანამშრომლობით ბირთვული იარაღის სფეროში; განსხავავებული მიდგომებში პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებაში, ტერორისტული ორგანიზაციების განსზღვრისადმი მიდგომის ორმაგი სტანდარტი. აქიდან გამომდინარე გეოპოლიტიკურ სფეროში გარკვეული დაძაბულობა შეიმჩნევა.

რუსეთ-ისრაელის ურთიერთობები საბჭოთა პერიოდში (1948-1991 წწ)

ბრიტანეთის მმართველობა პალესტინაში 1948 წლის 14 მაისს დამთავრდა: ინგლისელებმა იერსუსალიმში თავიანთი დროშა დაუშვეს. იმ დღესვე მოხდა მოვლენა, რომელსაც ებრაელი ხალხი 2 000 წელი ელოდა. 5 708 წლის იარის თვის მეხუთე დღეს ებრაული სახელმწიფოს არსებობა რეალობა გახდა. ებრაული თემის - იშუვას - ხელმძღვანელობა თელ-ავივის მუზეუმში სახელმწიფოს შექმნის გამოსაცხადებლად შეიკრიბა.[1].

ბრიტანეთის გასვლის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილება ადვილი არ იყო. იმ დროისთვის ებრაული სახელმწიფოს მოსახლეობა მხოლოდ 650 ათასი ადამიანი იყო. ახლადშექმნილი სახელმწიფოს გადარჩენის შანსი მცირე ებრაული თემის უნარზე იყო დამოკიდებული წინააღმდეგობა გაეწია არაბთა ხუთი რეგულარული არმიის შემოჭრისთვის, რომელსაც მხარს მილიონობით პალესტინელი არაბები უჭერდნენ. ბრიტანელების წასვლას ცალსახად მოჰყვებოდა არაბთა შემოსევა. ბენ გურიონის კითხვას, თუ რამდენად იყო მომზადებული ხაგანა[1] გადამწყვეტი საათისთვის, მისმა მეთაურობამ უპასუხა: „ჩვენი შანსები, რომ მოვიგოთ ან წავაგოთ, ორმოცდაათი - ორმოცდაათზეა“, მაგრამ გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ მიღებულ იქნა ბენ გურიონის ინიციატივით.[3].

მუზეუმში მოწვეული სახალხო მთავრობის, ეროვნული საბჭოს ორასამდე წევრის, რაბინების, იატაქვეშა სამხედრო ძალების - „ხაგანის“ მეთაურების, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების და ჟურნალისტების წინაშე ეროვნული საბჭოს მეთაურმა დავით ბენ-გურიონმა ივრითზე 979 სიტყვისგან შემდგარი დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაცხადა: ,,*1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერეც-ისრაელში ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ რეზოლუცია მიიღო. ამის საფუძველზე, ჩვენ სახალხო საბჭოს წევრები, ერეც-ისრაელში ებრაული მოსახლეობისა და მსოფლიო სიონისტური მოძრაობის წარმომადგენლები ერეც-ისრაელში ბრიტანული მანდატის დასრულების დღეს შევიკრიბეთ და ჩვენი ბუნებრივი და ისტორიული უფლების ძალით*

---

[1] **ჰაგანა -** ებრალურად - თავდაცვა, დაცვა- იყო ებრაული სიონისტური სამხედრო მიწისქვეშა ორგანიზაცია პალესტინაში, რომელიც არსებობდა 1920 წლიდან 1948 წლამდე ბრიტანეთის ოკუპაციის დროს.

და გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების საფუძველზე ერეც-ისრაელში ებრაული - ისრაელის სახელმწიფოს - შექმნას ვაცხადებთ. სახელმწიფო ისრაელი ღია იქნება რეპატრიაციისა და მასში მსოფლიოში გაფანტული ებერაელების გასაერთიანებლად. იგი ყოველ ღონეს იხმარს ქვეყნის განსავითარებლად მისი ყველა მაცხოვრებლის სასიკეთოდ. იგი უზრუნველყოფს რწმენისა და სინდისის თავისუფლებას, მშობლიური ენის გამოყენების უფლებას, განათლებისა და კულტურის უფლებას. იგი დაიცავს ყველა რელიგიის წმინდა ადგილებს და გაერთიანებული ერების ქარტიის პრინციპების ერთგული იქნება". [2]

არაბ ერს დეკლარაციამ მოუწოდა „დაიცვან მშვიდობა და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მშენებლობაში, რომელიც სრულ სამოქალაქო თანასწორობაზეა დაფუძნებულია". გამოითქვა ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების და ახლო აღმოსავლეთის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეტანის სურვილი. შეხვედრის ბოლოს ბენ გურიონმა განაცხადა, რომ ებრაული სახელმწიფო შეიქმნა. დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავს პალესტინისა და დიასპორის წარმომადგენელი ებრაელები ხალისით შეხვდნენ.

ამ ამბიდან სულ რაღაც ორი საათის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ახალი სახელმწიფო დე ფაქტო აღიარა. 18 მაისს ისრაელი დე იურე ცნო საბჭოთა კავშირმა.

14-15 მაისის ღამეს ლიბანის, სირიის, ერაყის, ეგვიპტის არმიები და ტრანსიორდანიის არაბული ლეგიონი პალესტინაში შეიჭრა. პროგნოზების თანახმად, ებრაული სახელმწიფოს დაცემა რამდენიმე დღეში უნდა მომხდარიყო. დამოუკიდებლობისათვის ომში მთავარი სამხედრო მოქმედებები 1948 წლის 15 მაისიდან 1949 წლის 24 თებერვალს ზავის დადებამდე გაგრძელდა. ისრაელის მოქალაქეებს არ სურდათ „ზღვაში გადაგდება", ამიტომ მტკიცედ იდგნენ და გაიმარჯვეს. ქვეყანამ 6 ათასი ახალგაზრდა დაკარგა, რაც მოსახლეობის მინიმუმ 1%-ს შეადგენდა.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სასიკვდილო საფრთხეში ვიმყოფებოდით, ვიცოდით, რომ მარტო არ ვიყავით" - ეს სიტყვები, რომელიც საბჭოთა კავშირში ისრაელის პირველმა ელჩმა და მთავრობის მომავალმა მეთაურმა გოლდა მეიერმა წარმოთქვა, -სულაც არ იყო გადაჭარბებული.

1947 წლის მაისში გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე, შეერთებულმა შტატებმა და სსრკ-მ პალესტინის ორ - ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად დაყოფას მხარი დაუჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობაში სიონიზმის იდეოლოგიისადმი დამოკიდებულება ნეგატიური რჩებოდა, პალესტინის საკითხთან დაკავშირებით კრემლის პოზიცია არ იყო ცალსახა. პალესტინაში ებრაელთა შესვლაზე კვოტის გაზრდის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტის ჰ. ტრუმენის თხოვნის დაკმაყოფილებაზე დიდი ბრიტანეთის უარმა სსრკ-ს საშუალება მისცა ახლო აღმოსავლეთში თავისი პოზიციები გაეძლიერებინა.

საბჭოთა უშიშროების ორგანოების მაღალჩინოსანი პაველ სუდოპლატოვი იხსენებდა: 1946 წლის აპრილში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა დეკანოზოვმა და ვიშინსკიმ მთავრობას სამსახურებრივი ბარათი გაუგზავნეს <…>, რომლითაც პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის მიმართ კეთილსასურველი დამოკიდებულების პოლიტიკის გატარებას სთავაზობდნენ <…> გათვლა იმაში მდგომარეობდა, რომ გაძლიერებულიყო საბჭოთა პოზიცი ახლო აღმოსავლეთში და

ამავდროულად ძირი გამოთხროდა არაბულ ქვეყნებში ბრიტანეთის გავლენას, რომლებიც ახალი სახელმწიფოს გამოჩენას ეწინააღმდეგებოდნენ <…> მოლოტოვის თანაშემწე ვეტროვმა მითხრა ი. სტალინის სიტყვები: „მოდით, შევთანხმდეთ ისრაელის ჩამოყალიბებაზე, რაც სატანჯველი იქნება არაბული სახელმწიფოებისთვის და აიძულებს მათ ბრიტანეთს ზურგი შეაქციონ <…> მთლიანად შეირყევა ბრიტანეთის გავლენა ეგვიპტეში, სირიაში, თურქეთსა და ერაყში.

მრავალთათვის მოულოდნელად, 1947 წელს გაეროს მაისის სესიაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. გრომიკომ განაცხადა:

1948 წლის 26 მაისს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. სსრკ-ს პირველი ელჩი ისრაელში პ. ი. ერშოვი იყო. 17 აგვისტოს მან რწმუნებათა სიგელები გადასცა. 6 სექტემბერს კი მოსკოვში ისრაელის მისიამ დაიწყო მუშაობა. ისრაელის ელჩად დაინიშნა გ. მეიერსონი (მეირი). საბჭოთა კავშირმა სამხედრო დახმარება გაუწია იშუვს და ისრაელს. ალბათ, უკვე 1947 წლის ბოლოდან, საბჭოთა ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ისრაელს იარაღი (ძირითადად გერმანული ნაალაფარი) ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გავლით მიეწოდებოდა. მეირმა თავის მოგონებებში აღნიშნავდა:

ვინ იცის, გადავრჩებოდით თუ არა ის იარაღი და საბრძოლო მასალა, რომელიც შეგვეძლო ჩეხოსლოვაკისაგან შეგვეძინა და ომის დაწყების პირველ ბნელ დღეებში იუგოსლავიის გავლით გადაგვეტანა? ჩვენ იმ ჭურვების, ტყვიამფრქვევებისა და ტყვიების იმედად ვიყავით, რომელთა შეძენა „ხაგანამ“ მოახერხა აღმოსავლეთ ევროპაში...

ახლო აღმოსავლეთში იარაღის გაყიდვაზე ამერიკულმა ემბარგომ იშუვის ლიდერები აიძულა სხვა მომწოდებლები ეპოვნათ. იარაღის საკითხი შეერთებულ შტატებში ებრაული სააგენტოს წარმომადგენლებისა და საბჭოთა დიპლომატების საიდუმლო კონტაქტების ყველაზე მნიშვნელოვანი თემა იყო. პალესტინელიი ებრაელებისთვის იარაღის მიწოდების უკანონო არხის შექმნაში გადამწყვეტი როლი სსრკ-მ შესრულა: იარაღი ზღვით და საჰაერო გზით გადაჰქონდათ.

საარქივო დოკუმენტები იმის შესახებ მოწმობენ, რომ 1948 წლის მაისისთვის პალესტინას 24 ათასზე მეტი შაშხანა, 54 მილიონი ვაზნა, 5 ათასი მსუბუქი და 200 საშუალო ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ათეული თვითმფრინავი გადეცა. 1948 წლის აგვისტოში ისრაელის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ითხოვა „ისრაელის სახელმწიფოს მხარდაჭერისთვის საბჭოთა კავშირისთვის ისრაელის მთავრობისა და ხალხის მადლიერება გადაეცათ“. [4].

1950-იანი წლების დასაწყისში სსრკ-სა და ისრაელს შორის ურთიერთობების გაუარესებამ 1953 წლის 12 თებერვალში ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა გამოიწვია, რაც 1953 წლის 9 თებერვალს ისრაელში სსრკ მისიის ტერიტორიაზე ბომბის აფეთქებით იყო გამოწვეული, რა დროსაც სამი ადამიანი მძიმედ დაშავდა. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული აქტის მეორე დღეს, ისრაელის პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრკ-ს მისიას წერილები გაუგზავნეს და „ჩადენილ დანაშაულისთვის ბოდიშს იხდიდნენ და ისრაელის მთავრობა გმობდა ამ დანაშაულებრივ ქმედებას და დამნაშავეების აღმოსაჩენად და დასასჯელად გარკვეული ზომების მიღების პირობას იძლეოდა“, სსრკ-მ ისრაელი „მის წინააღმდეგ სიძულვილისა და მტრობის სისტემატურ გაღვივებაში დაადანაშაულა“. აღნიშნა, რომ „ისრაელის

მთავრობის განცხადებები და ბოდიშის მოხდა ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით <…> ყალბი თამაშია, რომლის მიზნია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, რომელიც ისრაელის მთავრობას ამ დანაშაულისთვის ეკისრება“. ამიტომ, სსრკ-მ თავისი დესპანისა და დიპლომატიური მისიის პერსონალის გამოწვევა, ასევე ისრაელის მთავრობასთან ურთიერთობების გაწყვეტა გადაწყვიტა და მოითხოვა, რომ ისრაელის მისიის პერსონალს საბჭოთა კავშირის საზღვრები დაეტოვებინა. საერთაშორისო საზოგადოებასა და პრესაში ისრაელში საბჭოთა მისიის დაბომბვას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. იმის შესახებ, თუ ვის შეეძლო ამ აქტის განხორციელება ორი ძირითადი თვალსაზრისი არსებობდა. პირველის მიხედვით, ეს ტერორისტული აქტი ერთ-ერთი რადიკალური ებრაული ორგანიზაციის მიერ სსრკ-ში 1953 წლის იანვარში დაწყებული „ექიმთა საქმისთვის“ შურისძიებით იყო გამოწვეული. ამ მოსაზრებას ადასტურებდა ის ფაქტი, რომ ადრე, 1952 წლის დეკემბერში საბჭოთა მისიაზე თავდასხმის მცდელობას ჰქონდა ადგილი, მაშინ საბჭოთა მისიის კუთვნილი ავტომანქანა დაიწვა. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, „საბჭოთა საელჩოში ბომბის აფეთქება, რომელიც აქ 9 თებერვალს განხორციელდა სტალინელების მიერ ჰიტლერის რაიხსტაგის ხანძრის გამეორება იყო”, რაც მოსკოვს „ანტისემიტური რეპრესიების გასამყარებლად და გასაძლიერებლად” სჭირდებოდა. ყოველივე ამის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მისიის თანამშრომლებმა აფეთქებიდან ჩვიდმეტი საათის განმავლობაში შენობაში პოლიცია არ შეუშვეს და გამოძიების დაწყებას ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ. სსრკ-სა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1953 წლის 21 ივლისს აღდგა. ამას ხელი ი. სტალინის სიკვდილმა შეუწყო. სსრკ-სთან ერთად ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა „სოციალისტური ბლოკის" ყველა ქვეყანამ გაწყვიტა ბულგარეთის გარდა. 1953 წლის 12 თებერვლიდან 21 ივლისამდე საბჭოთა კავშირის ინტერესებს ისრაელში სწორედ ბულგარეთი წარმოადგენდა. მაგალითად, ამ პერიოდის განმავლობაში შეერთებულ შტატებს არ ჰქონდა ზუსტი პასუხი კითხვაზე: ეს ებრაული ტერორისტული ორგანიზაცია ირგუნის ქმედება იყო, თუ მგბ-ის პროვოკაცია. 1953 წლის 5 მარტს და 1953 წლის 4 აპრილს „ექიმთა შეთქმულების" დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადების შემდეგ ისრაელის პოლიტიკური ელიტას ზოგადად საბჭოთა და კონკრეტულად ებრაელთა მიმართ პოლიტიკის შეცვლის იმედი ჰქონდა. ამით აიხსნება ხსნის მათ იმედები საბჭოთა ებრაელების ისრაელში დაბრუნების შესახებ. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელოვანი ფაქტორი 1953 წლის ივნისში ისრაელში ანტისაბჭოთა მიწისქვეშა ორგანიზაციის აღმოჩენა იყო, რომელიც 15 ადამიანისგან შედგებოდა და რომელთაგან 14 ისრაელში საბჭოთა მისიის შენობაში ბომბის აფეთქებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი. საინტერესო ფაქტია, რომ 4-დან 27 აპრილამდე ისრაელი სხვადასხვა დიპლომატიური და სხვა არხებით ცდილობდა სსრკ-სთან დიპლომატიური ურთიერთობები აღედგინა. ამგვარად, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა შარეტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „მისი ქვეყანა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას მიესალმება“. გარდა ამისა, ეს საკითხი დაყენებულ იქნა 9 აპრილს დანიაში მექსიკის წარმომადგენლის მანრიკესა და კოპენჰაგენში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ვეტროვის შორის გამართულ საუბარში; ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის

დეპარტამენტის დირექტორ ლევავსა და გაეროში ისრაელის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილის, რაფაელის და გაეროში პოლონეთის მუდმივი წარმომადგენლის ბერეცკის შორის გამართულ შეხვედრაზე 13 აპრილს; ბულგარეთში პოლონეთის ელჩის ბარხაჩისა და სსრკ-ს ელჩის სოფია ბოდროვის შეხვედრაზე 27 აპრილს და ა.შ. [5]. უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ქვეყნები, რომლებთანაც სსრკ-მ 1950-იანი წლების დასაწყისში დაახლოება დაიწყო სსრკ-სა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ ცნობას მიესალმნენ. დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან, არაბული ქვეყნების მთელ მოსახლეობას სერიოზულად შეაწუხებდა". 28 მაისს ისრაელის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას ისრაელსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ წინადადებით მიმართა. 1953 წლის 24 ივნისს სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა სსრკ-ს ელჩს ბულგარეთში „ინსტრუქციების პროექტი" გაუგზავნა, რომელიც შეიცავდა შეთანხმებას სსრკ-სა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ ებრაული სახელმწიფოს მთავრობამ ბოდიში მოიხადა 1953 წლის 9 თებერვლის ტერორისტული აქტის გამო და განაცხადა, რომ ისრაელი „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ალიანსის ან შეთანხმების მხარე არ იქნება".

1956 წლის სუეცის კრიზისის დროს ორივე ქვეყანა დაპირისპირებული ბანაკების საპირისპირო მხარეს აღმოჩნდა და თითქმის ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ სსრკ-სა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობები კვლავ გაწყდა, რისი მიზეზიც ახლო აღმოსავლეთში ისრაელთან ომში იყო სსრკ-ს მოკავშირეების - არაბული სახელმწიფოების - დამარცხება იყო. ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები მხოლოდ პერესტროიკის ეპოქაში აღდგა. თუ ახლო აღმოსავლეთში ზესახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის მთავარ რგოლში 1953 წელს საბჭოთა კავშირსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის როლს გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ მოვლენიდან ახლო აღმოსავლეთში სსრკ-ს მხარდაჭერის გადამისამართება ისრაელიდან არაბულ ქვეყნებში და შეერთებული შტატებისკენ ებრაული სახელმწიფოს ცალმხრივი ორიენტაციის ეტაპი დაიწყო. ამრიგად, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა თავისთავად არ არის მიზეზი, არამედ ზემოაღნიშნული მოვლენების მხოლოდ საბაბია, რადგან იგი გახდა ერთგვარი „წერტილი", რომელიც 1953 წელს საბჭოთა კავშირ-ისრაელის მეგობრული ურთიერთობების ისტორიაში იქნა დასმული.

ურთიერთობების დამყარება
რუსეთის ფედერაციასა და ისრაელს შორის

სსრკ-სა და ისრაელს შორის როგორც ზემოთ ითქვა დიპლომატიური ურთიერთობები 1948 წლის მაისში დამყარდა. 1967 წლის ივნისში, ექვსდღიანი ომისა და ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა. 1987 წელს ურთიერთობები საკონსულო მიმართულებით განახლდა[2], 1991 წლის 18

[2] ჰაიფაში ასევე არის რუსეთის გენერალური საკონსულო, ხოლო რუსეთში ისრაელის გენერალური საკონსულო სანქტ-პეტერბურგშია.

ოქტომბერს კი სრულად აღდგა. 1991 წლის დეკემბერში მოსკოვში ისრაელის საელჩო ხოლო თელ-ავივში რუსეთის საელჩო გაიხსნა. [6].

ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფაქტორია ისრაელში (დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანი) ყოფილი სსრკ-დან გამოსულთა დიდი თემის არსებობა. ამჟამად ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგი მიმდინარეობს. ჩამოყალიბდა პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა და სხვადასხვა დონეზე დელეგაციების გაცვლა. რუსეთის პრეზიდენტი ვ. ვ. პუტინი ისრაელს სამჯერ ეწვია: 2005 წლის 27-29 აპრილს, 2012 წლის 25 ივნისს და 2020 წლის 23 იანვარს. ბოლო ვიზიტის დროს მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „ჰოლოკოსტის მეხსიერების შენარჩუნება, ანტისემიტიზმთან ბრძოლა“.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე დ. ა. მედვედევი ისრაელში სამუშაო ვიზიტით 2016 წლის 10-11 ნოემბერს იმყოფებოდა.

პრემიერ მინისტრი ბ. ნეთანიაჰუ რუსეთს ჩვიდმეტჯერ ეწვია. 2015 წლის 30 ნოემბერს ვ. ვ. პუტინმა პარიზში ბ. ნეთანიაჰუსთან მოლაპარაკებები გამართა, ხოლო 2018 წლის 11 ნოემბერს ისინი პირველი მსოფლიო ომის დასრულების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური ღონისძიებების ფარგლებში შეხვდნენ.

2021 წლის 22 ოქტომბერს ისრაელის მთავრობის მეთაური ნ. ბენეტი სოჭში ჩავიდა, სადაც იგი ვ. ვ. პუტინმა მიიღო, ხოლო 2022 წლის 5 მარტს ისინი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ.[7].

ვ. ვ. პუტინი და ისრაელის მთავრობის მეთაური მხარს უჭერენ სატელეფონო კონტაქტების პრაქტიკას. 2022 წელს ასეთი კონტაქტი 6-ჯერ განხორციელდა (13 იანვარს, 27 თებერვალს, 2 მარტს, 18 აპრილს, 5 მაისს და 22 დეკემბერს). 2023 წელს – ორჯერ (16 ოქტომბერს და 10 დეკემბერს). 2022 წლის 9 აგვისტოს შედგა სატელეფონო საუბარი ვ. ვ. პუტინსა და ისრაელის პრეზიდენტ ი.ჰერცოგს შორის.

2016 წლის 15-17 მარტს რუსეთს ოფიციალური ვიზიტით ისრაელის პრეზიდენტი რ. რივლინი ეწვია. მან შეხვედრები გამართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვ. ვ. პუტინთან, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე დ. ა. მედვედევთან და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილთან.

რუსეთს აგრეთვე არაერთხელ სტუმრობდა ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი შ. პერესი: კერძოდ 2009 წლის აგვისტოში, 2010 წლის მაისში, 2012 წლის ნოემბერსა და 2015 წლის ივნისში.

ორ ქვეყანას შორის სულიერი კავშირების განვითარებას ხელი შეუწყო 2012 წელს 9 - 14 ნოემბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის ისტორიულმა მოგზაურობამ წმინდა მიწაზე (ისრაელი, პალესტინა და იორდანია).

2014 წლის 25-26 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ს. ე. ნარიშკინი ისრაელს ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

2016 წლის 2-4 თებერვალს რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. მატვიენკო ოსრაელში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

2017 წლის 27-30 ივნისს მოსკოვს ისრაელის ქნესეტის თავმჯდომარე იური ედელშტეინი ეწვია.[8].

2022 წლის 12 იანვარს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ვ .ვ. ვოლოდინსა და ქნესეთის სპიკერ მ.ლევს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ვ. ლავროვი ისრაელს ეწვია 2004 წლის სექტემბერში, 2005 წლის ოქტომბერში, 2006 წლის სექტემბერში, 2007 წლის ივნისში, 2008 წლის მარტი, 2009 წლის თებერვალში, 2010 წლის ივნისში. 2018 წლის 23 ივლისს ს. ვ. ლავროვი იერუსალიმში ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს ბ. ნეთანიაჰუს შეხვდა. შეხვედრას რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსი - რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. გერასიმოვი ესწრებოდა.

რუსეთ-ისრაელის ურთიერთქმედება საერთაშორისო რეგიონული კრიზისების კონტექსტში

2015 წელს ყოვლისმომცველ ერთობლივ სამოქმედო გეგმას ირანმა ხელი გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრთან, ან P 5-თან (ჩინეთი, საფრანგეთი, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) და გერმანია) მოაწერა. იგი ირანისთვის მისი ბირთვული პროგრამის შეზღუდვის სანაცვლოდ სანქციების მოხსნას მოიცავდა. სამი წლის შემდეგ აშშ შეთანხმებიდან გავიდა და სანქციების დაბრუნება გადაწყვიტა. თეირანის ადმინისტრაციისთვის მკაცრი სანქციების ხელახალმა დაწესებამ და შეთანხმებიდან გასვლის შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების შემდეგ ბირთვული შეთანხმება, რომელიც მრავალმხრივ დიპლომატიურ მიღწევად განიხილებოდა, სერიოზულ კრიზისში ჩააგდო. ამ მოვლენის საპასუხოდ ირანმა ურანის გამდიდრების მომატება და მოწინავე ცენტრიფუგების გამოყენება დაიწყო. თეირანმა განაცხადა, რომ 2019 წლიდან ბირთვული შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს რამაც საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.[9].

მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული შეთანხმების შესანარჩუნებლად და აშშ-ს სანქციებისგან ევროპელი ინვესტორების გადასარჩენად შეიქმნა მექანიზმი სახელწოდებით „სავაჭრო გაცვლების მხარდაჭერის ინსტრუმენტი“, ამ სისტემას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია. გარდა ამისა, 2020 წლის ნოემბერში ირანელი მეცნიერის მუჰსინ ფახრიზადეს მკვლელობამ თეირანს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, უფრო რადიკალური გადაწყვეტილებების მისაღებად გზა გაუხსნა. ქვეყნის პარლამენტში მიღებული კანონის შესაბამისად, 20%-იანი სისუფთავით გამდიდრებული ურანი პირველად, მალევე იქნა წარმოებული; ეს მაჩვენებელი 60%-მდე გაიზრდა. ირანის 60%-იანი ბირთვული წარმოება მთავარი ნაბიჯია ატომური ბომბის დასამზადებლად საჭირო დაშლილი ურანის 90%-იანი სისუფთავის მისაღწევად. ყოველივე ამან იმედები ბირთვული შეთანხმების შენარჩუნების მოლოდინები გააქრწყლა. საბოლოდ, ბირთვული შეთანხმების მიხედვით, ირანს შეუძლია 3,67%-მდე გაამდიდროს ურანი.[10].

თუმცა, 2021 წელს ვაშინგტონში საპრეზიდენტო ადმინისტრაციის ცვლილების შემდეგ, მხარეებმა ადრინდელ შეთანხმებებზე საუბარი დაიწყეს იმ გადაწყვეტილებით, რომ შეზღუდვები ირანის ბირთვულ ამბიციებზე გავლენას არ მოახდენდა. 2021 წლის აპრილიდან მოლაპარაკებები ევროკავშირის (EU) კოორდინაციით მიმდინარეობს ვენაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შეთანხმების ხელახალი განხორციელება და 2022 წლის

აგვისტომდე შეერთებული შტატების დაბრუნება შეთანხმებაში. თუმცა, ჰასან როჰანიდან ებრაჰიმ რაისის მთავრობაში არჩევნების შემდგომი გადასვლისა და რუსეთსა და უკრაინას შორის სამხედრო კონფლიქტების დროს მოლაპარაკებები შეფერხდა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა, რომელიც მოლაპარაკებებს კოორდინირებს, შეთანხმების პროექტის ტექსტი წარმოადგინა, მხარეებმა წინა თვეებთან შედარებით საბოლოო შეთანხმების მიღწევის კუთხით გაცილებით მეტი დადებითი ნიშანი მისცეს.[11].

2022 წლის 15 აგვისტოს ირანმა ევროკავშირს ბირთვული მოლაპარაკებების საბოლოო საგზაო რუკად მიღებული შეთანხმების პროექტზე თავისი შეხედულებები წარუდგინა. მოლაპარაკებების კოორდინატორმა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხოსეპ ბორელმა ირანის პასუხს „გონივრული“ უწოდა. 2022 წლის 24 აგვისტოს შეერთებულმა შტატებმა ევროკავშირს თავისი პასუხი გაუგზავნა. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰოსეინ ემირ აბდულაჰიანმა თქვა, რომ მათ ბირთვული შეთანხმების წინააღმდეგ სანქციების გაუქმება სურთ და მოითხოვეს უფრო ძლიერი გარანტიები, რათა შეერთებულმა შტატებმა შეთანხმებიდან გამოსვლა თავიდან აიცილოს. ამ პროცესში გაგრძელდა წერილობითი დიპლომატია, სადაც ვაშინგტონმა თეირანის ადმინისტრაციისთვის მიერ წარმოდგენილი ტექსტი შეერთებული შტატებისთვის არაკონსტრუქციულად მიიჩნია, რაც შეიძლება ჩაითვალოს პირველ ნაბიჯად, რომლითაც პოზიტიური ატმოსფეროს რღვევის დასაწყისი აღნიშნა.[12].

რუსეთი, ისრაელი და სირიის კრიზისი

რუსეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობები კონფლიქტში რუსეთის პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის დროს შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოზიტიური ხასიათის სტაბილური პარტნიორული ურთიერთქმედება, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში არა სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე. რუსეთისა და ისრაელის პოზიციები სირიის კრიზისთან დაკავშირებით ძალიან განსხვავებული იყო.[13].

ისრაელი ისწრაფვის სირიის კრიზისში არ ჩაერიოს და ქვეყანას გაჭიანურებული და სისხლიანი კონფლიქტი თავიდან ააცილოს, მაგრამ ისრაელისთვის სირიის მოვლენებისგან სრული დისტანცირება უკიდურესად რთულია, ვინაიდან სირია ისრაელის მოსაზღვრე სახელმწიფოა. იმის მიუხედავად, რომ ისრაელსა და სირიას შორის საზღვარი ფორმალური ხელშეკრულებების დონეზე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ორმხრივი ვალდებულებებით, მხარეებს შორის ურთიერთობა შედარებით სტაბილურია და მნიშვნელოვანი სასაზღვრო კონფლიქტები არ დაფიქსირებულა. სირიის კონფლიქტი, რომელშიც სხვადასხვა შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფებები აქტიურად არიან ჩართული და ISIS-ის პოზიციების გაძლიერებამ არ შეიძლება, რომ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ისრაელის სახელმწიფოს ხელმძღვანელობის სერიოზული შეშფოთება არ გამოიწვიოს.

სირიაში რუსული სამხედრო ოპერაციის განხორციელება ისრაელის მხარესთან შეთანხმებული იყო. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა სამხედრო ოპერაცია ჩაეტარებინა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის შეხვედრა შედგა. 2015

წლის სექტემბერში ბ. ნეთანიაჰუ და არაერთი მაღალი რანგის სამხედრო პირი, მათ შორის გენერალური შტაბის უფროსი ეწვია მოსკოვს, რა დროსაც განხილვის საგანი რეგიონში მხარეთა საერთო ინტერესები გახდა. 21 სექტემბერს შეხვედრის შემდეგ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი და რუსეთი სირიაში თავიანთ სამხედრო მოქმედებებს კოორდინაციას გაუწევენ. „ჩემი მიზანი ისრაელის თავდაცვის არმიასა და რუსეთის ძალებს შორის გაუგებრობების თავიდან აცილება იყო“ - ხაზგასმით აღნიშნა ნეთანიაჰუმ. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ერთად, ისინი „შეთანხმდნენ მექანიზმზე, რომ მსგავსი შემთხვევები თავიდან აიცილონ“ მიღწეული შეთანხმებები ორი სახელმწიფოს სამხედროებს შორის შემთხვევითი შეტაკებების აღმოფხვრას შესაძლებელს გახდის.[14]

სირიის კრიზისმა და ISIS-ის გაჩენამ და გაძლიერებამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული ისედაც რთული მდგომარეობა საგრძნობლად გაართულა. ამ ვითარებაში, როგორც რუსეთს, ასევე ისრაელს იდენტური საერთო ინტერესები აქვთ, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციის „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერების პრევენცია და მთლიანად რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაცია. რუსეთისა და ისრაელის ლიდერებმა შეძლეს საერთო ენის გამონახვა და ამჟამად ქვეყნებს შორის რუსული მხარის მიერ სირიაში სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებული. რუსეთსა და ისრაელს შორის მთავარი წინააღმდეგობები უკანა პლანზეა გადაწეული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გაქრა. პირიქით, თუ მოვლენები არასახარბიელოდ განვითარდება, შეიძლება ეს წინააღმდეგობები გაძლიერდეს. ისრაელი არ შეიძლება შეშფოთებული არ იყოს რუსეთისა და ირანის თანამშრომლობით, რუსეთის კონტაქტებით ჰამასთან და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის აქტიური მხარდაჭერით. ადრე თუ გვიან დადგება მომენტი, როდესაც მხარეებს ხელსაყრელი ურთიერთობების შესანარჩუნებლად ურთიერთდათმობებზე წასვლა მოუწევთ და იქნებიან თუ არა ისინი ამისთვის მზად, ამას დრო გვიჩვენებს.

ევროპარლამენტისა და ქნესეთის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებამდეც კი, ისრაელი ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო პროგრამას შეუერთდა. 2004 წლის დეკემბერში ისრაელი და ევროკავშირი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ, რომელიც ისრაელისათვის ფინანსურ მხარდაჭერას მოიცავდა. სამოქმედო გეგმის მოქმედების პირველი შვიდი წლის განმავლობაში ისრაელმა ევროკავშირისგან 14 მილიონი ევრო მიიღო.[16]. 2007 წლის ნოემბერში ევროპა-ისრაელის ბიზნეს დიალოგი გაიხსნა, რომელიც მიზნად ისრაელსა და გაერთიანებულ ევროპაში კერძო მეწარმეებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაძლიერებას ისახავდა. 2008 წლის ივნისში ევროკავშირმა ისრაელთან ურთიერთობების განახლების შესახებ განაცხადა.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყ
ვას რამდენიმე წელიწადზე უფრო ადრე არ უნდა ველოდოთ მიიჩნევს იგი. მაშინაც კი, თუ აშს-ს შემაფერხებელი ახალი კონფლიქტები გაჩნდება, მაგალითად ტაივანში.

დასავლეთის უპრეცედენტო სანქციების პირობებში რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩინეთთან თანამშრომლობამ შეიძინა. პეკინი უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით თავშეკავებულ პოზიციას ინარჩუნებს და მხარეებს

მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებს. ამასთან, ჩინეთი უარს არ ამბობს რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, მაგრამ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში აშშ-ს შესაძლო მეორადი სანქციების რისკებს ითვალისწინებს. ასეთ სიტუაციაში ურთიერთქმედების ახალი ფორმების საპოვნელად ბალანსის ძიებამ ხშირად წრუმატებელი მცდელობების არსებობა განაპირობა.[17].

გასულმა წელმა დაამტკიცა, რომ პეკინსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულ ურთიერთობებში რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის (როგორც, მაგალითად, ეს 1970-იან წლებში აშს-ს სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის ძალისხმევით მოხდა, რომელმაც მაო ძედუნთან სსრკ-ს ერთობლივი ოპოზიციის შესახებ შეთანხმება მოახერხა). ამჯერად სავარაუდოა, რომ ამერიკელები მაღალტექნოლოგიურ სექტორში ჩინეთზე ტარიფებითა და სანქციებით ჩინეთზე ზეწოლას გააგრძელებენ. თავის მხრივ, აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობების სერიოზული გაუარესება რუსეთისთვის მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს.[18].

სსრკ-სა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1948 წლის მაისში დამყარდა. 1967 წლის ივნისში, ექვსდღიანი ომისა და ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა. 1987 წელს ურთიერთობები საკონსულო მიმართულებით განახლდა, 1991 წლის 18 ოქტომბერს კი სრულად აღდგა. 1991 წლის დეკემბერში მოსკოვში ისრაელის საელჩო ხოლო თელ-ავივში რუსეთის საელჩო გაიხსნა (ისრაელში, ჰაიფაში ასევე არის რუსეთის გენერალური საკონსულო, ხოლო რუსეთში ისრაელის გენერალური საკონსულო სანქტ-პეტერბურგშია).

ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფაქტორია ისრაელში (დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანი) ყოფილი სსრკ-დან გამოსულთა დიდი თემის არსებობა. ამჟამად ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგი მიმდინარეობს. ჩამოყალიბდა პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა და ჩამოყალიბდა პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა და სხვადასხვა დონეზე დელეგაციების გაცვლა. რუსეთის პრეზიდენტი ვ. ვ. პუტინი ისრაელს სამჯერ ეწვია: 2005 წლის 27-29 აპრილს, 2012 წლის 25 ივნისს და 2020 წლის 23 იანვარს. ბოლო ვიზიტის დროს მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „ჰოლოკოსტის მეხსიერების შენარჩუნება, ანტისემიტიზმთან ბრძოლა“.

მიუხედავად ამისა დღეს ურთიერთობა რუსეთსა და ისრაელს შორის დაძაბულია, უპირველეს ყოვლისა ეს გამოიწვია ისრაელის ორმაგმა სტანდერტებმა უკრაინასთან მიმართებაში რაც აშკარად აღიზიანებს მოსკოვს. მეორე არანაკლები ვითარება ისრაელის პოლიტიკისადმი სირიაში და ირანისადმი, რომელებთანაც რუსეთს გეოპოლიტიკური კავშირი აკავშირებს.

ბიბლიოგრაფია:

[1]. Ближневосточный конфликт 1947-1967. Из документов архива Внешней политики Российской Федерации: в 2 т. / В.В. Наумкин [и др.]; под общ. ред. В.В. Наумкина. М.: МФД, 2003. Т. 1: 19471956 / В.В. Наумкин [и др.]. 2003.

[2]. Канторович Н. Взрыв в советской дипломатической миссии в Тель-Авиве 9.2.1953 // «Военный Вестник Израиля» [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://www.academia.edu/178110/__9.2.1953_. – Дата доступа: 10.05.2014.
[3]. Кто взорвал? Бомба в советском посольстве – повторение гитлеровского «пожара в Рейхстаге» [Электронный ресурс] // «Новое Русское Слово». – Режим доступа: http://www.temadnya.ru/ spravka/11feb2003/2201.html. – Дата доступа: 10.05.2014.
[4]. Клейн, Б.С. Политика США и «Дело врачей» // «Вопросы истории». 2006.№ 6. С. 35-47.
[5]. Рыжов И.В., Интяков А.А. Особенности советско-израильских политико-экономических отношений //«Вестник Волгоградского государственного университета». Сер. 4. 2009. №1 (15). С. 78–86.
[6]. Гонор, Э. Русский роман [Электронный ресурс] // «Международная еврейская газета». – Режим доступа: http://www.jewukr.org/observer/eo2003/page_show_ru. php?id=1090. – Дата доступа: 10.05.2014.
[7]. Рыжов И.В., Интяков А.А. Особенности советско-израильских политико-экономических отношений //«Вестник Волгоградского государственного университета». Сер. 4. 2009. №1 (15). С. 78–86.
[8]. Ближневосточный конфликт 1947-1967. Из документов архива Внешней политики Российской Федерации: в 2 т. / В.В. Наумкин [и др.]; под общ. ред. В.В. Наумкина. М.: МФД, 2003. Т. 1: 19471956 / В.В. Наумкин [и др.]. 2003.
[9]. National security strategy of the United States of America. - Washington: The White House, 2017. - 68 p.
[10]. Peace to Prosperity: A Vision to Improve the Lives of the Palestinian and Israeli People. - Washington: The White House, 2020. - 181 p. - URL: https://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/trump_plan.pdf (дата обращения: 27.05.2021).
[11]. Потемкина Т.В. Миграционные процессы в современной системе международных отношений // Журнал Знание. Понимание. Умение. 2008. №3. С. 23-34.
[12]. Israel begins mapping out West Bank land for annexation after election. 08.02.2020. - Текст: электронный // The Jerusalem Post. - URL: https://www.jpost.com/Israel-News/Israel-begins-mapping-out-West-Bank-land-for-annexation-after-election-616961 (дата обращения: 27.05.2021).
[13]. UN Votes Resoundingly to Reject Trump's Recognition of Jerusalem as Capital. 21.12.2017. - Текст: электронный // Guardian. - URL: https://www.theguardian.com/world/2017/dec/21/unitednations-un-vote-donald-trump-jerusalem-israel [https://perma.cc/B6RR-V47T] (дата обращения: 27.05.2021).
[14]. იქვე
[15]. Ближневосточный конфликт 1947-1967. Из документов архива Внешней политики Российской Федерации: в 2 т. / В.В. Наумкин [и др.]; под общ. ред. В.В. Наумкина. М.: МФД, 2003. Т. 1: 19471956 / В.В. Наумкин [и др.]. 2003
[16]. Пиляева Марина Анатольевна. Израиль в эпицентре «Арабской весны»// Журнал Вестник МГИМО Университета. 2012. №2. С.78.
[17]. Максимова Е.А. «Мягкая сила» России как способ расширения ее политического влияния // Журнал Вестник Московского Государственного Лингвистического университета.2013.№24. С. 46-47.

From the history of Russian-Israeli relations

Marina Izoria
Sokhumi State University (Georgia)

Guram Markhulia
Doctor of History, Associate Professor Sokhumi state University (Georgia)

Summary

In recent years, Israel has been in the spotlight of the world community. For a year and a half, the country has been fighting radical organizations, Hamas and Hezbollah, and the threat of escalation of the Iran-Israel conflict still exists. Despite the fact that peace in the Middle East has not been achieved and Israel's goals have not been fully realized, relations between Russia and Israel are characterized as complex and multifaceted, combining elements of cooperation and contradictions. Historically, relations between the countries began with the establishment of diplomatic relations in 1948, but were interrupted in 1967 and restored in 1991 after the collapse of the USSR. Currently, the two countries maintain an active political dialogue, although there are also disagreements, in particular, over the situation in Syria and Israel's position on Ukraine.

In international relations, Russian-Israeli relations have always had their geopolitical significance. Much depended on these relations in the Middle East. It is noteworthy that even today, in the context of the ongoing geopolitical shifts in the Middle East, the relations between these two states are very important.

After the collapse of the Soviet Union, Russia, as its legal successor, not only maintained, but also further strengthened relations with Israel. Today, Russia and Israel cooperate in such areas as trade-economic, political and military-technical relations; the countries also cooperate in resolving international issues. In economic relations, Israel is Russia's main partner in the Middle East. The UN project "Gazprom" is being implemented in the field of natural gas supplies. Inter-parliamentary relations are noticeable within the framework of political relations, as well as a joint fight against crime and corruption. In terms of military-technical relations, it is planned to create a joint Russian-Israeli enterprise to create favorable armaments. When resolving issues of international importance, the convergence of interests between countries takes place in the context of strategic partnership. However, there are a number of problems in Russian-Israeli relations: in particular, Israel's dissatisfaction with Russia's cooperation with Iran in the field of nuclear weapons; divergent approaches to resolving the Palestinian-Israeli conflict, double standards in the approach to the elimination of terrorist organizations. Based on this, some tension is observed in the geopolitical sphere.